

# საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი



მოგესალმებით  
და გაგაცნობთ  
საქართველოს  
ზრდასრულთა განათლების  
ქსელის (GAEN) მიერ  
მიმდინარე პერიოდში განული  
მუშაობისა და საინტერესო  
მოვლენების შესახებ

**vhs**  
DVV International

*N1*  
*2018*

## სტუმრები:

- ტრენინგი ზრდასრულთა პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების ძირითად საკითხებზე **2**
- კედლის მხატვრობის აქტივობები პროექტში "ხელოვნება თემის განვითარებისთვის" **3**
- „ხელოვნება თემის განვითარებისთვის“ - ვიზიტი ოდესაში **5**
- ზრდასრულთა განათლების მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია მოლდოვაში **7**
- Dvv-international-ის სტუმრების ვიზიტი GAEN-ში **8**
- ტრენინგი „საგადასახადო ვალდებულებებსა და ბუღალტერიაზე“ **9**
  - ქამის ზრდასრულთა განათლების ცენტრის დირექტორის ვორქშოპი **10**
  - საზაფხულო აკადემია კიევში **11**
  - ჟურნალისტური ნამუშევრების კონკურსი ზრდასრულთა განათლების თემაზე **12**

# ტრენინგი ზრდასრულთა განათლების დაგეგმვისა და განხორციელების ძირითად საკითხებზე

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელმა 2018 წლის 14-16 თებერვალს DVV International ოფისში ჩაატარა ტრენინგი თემაზე „ზრდასრულთა პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების ძირითადი საკითხები“.

ტრენინგში საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის წევრი სათემო/ზრდასრულთა განათლების ცენტრების დირექტორები მონაწილეობდნენ.

ტრენინგზე განხილულ საკითხთა შორის იყო: ზრდასრულთა სწავლების ძირითადი მახასიათებლები, შრომის ბაზარი და მისი გამოყენება ზრდასრულთა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში, თემის მობილიზების ძირითადი მიდგომები და მონიტორინგისა და შეფასების მთავარი ასპექტები.

ტრენინგს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი თამარ ჭაბუკიანი და DVV International კავკასიის, თურქეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული ოფისის დირექტორი მანია ავრამოვსკა უძღვებოდნენ.

თამარ ჭაბუკიანმა 14-15 თებერვალს ცენტრების დირექტორებს პრეზენტაცია წა-

რუდგინა GAEN-ის 2018 წლის გეგმების შესახებ, შემდეგ კი ჯგუფური მუშაობისა და სხვა აქტივობების დახმარებით ზრდასრულთა სწავლების ძირითადი მახასიათებლები და მიდგომები გააცნო მათ. ცენტრების დირექტორებს განსაკუთრებით აინტერესებდათ ცენტრებში კურსების დანერგვისა და მართვის პრაქტიკა, რაზეც ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა მათ სწორედ ამ ტრენინგზე მიეცათ.



რექტორებს განსაკუთრებით აინტერესებდათ ცენტრებში კურსების დანერგვისა და მართვის პრაქტიკა, რაზეც ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა მათ სწორედ ამ ტრენინგზე მიეცათ.



ტრენინგის მესამე დღეს კი მანია ავრამოვსკა უძღვებოდა შეხვედრას. მან ცენტრების დირექტორებს პროექტის მონიტორინგისა და შეფასების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, კერძოდ, რისი გათვალისწინებაა აუცილებელი პროექტების დაგეგმვისას და რა ეტაპებს უნდა მოიცავდეს პროექტის მონიტორინგისა და შეფასების ფაზა.

განხილული საკითხების შესახებ ტრენინგის ბოლოს მისმა მონაწილეებმა უფრო მეტი ცოდნის მიღების სურვილი გამოთქვეს.

მოგეხსენებათ, თავისი წევრი ორგანი-

ზაციების ინსტიტუციური გაძლიერება საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის საქმიანობის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა და აღნიშნული ტრენინგიც სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა.

იგი „არაფორმალური ზრდასრულთა განათლების განვითარების და გაძლიერების მხარდაჭერა საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში ჩატარდა. პროგრამა სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის DVV International საქართველოს ოფისის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.



## ტრენინგი „საგადასახადო ვალდებულებებსა და ბუღალტერიაზე“



21-22 მაისს საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის ოფისში ორდღიანი ტრენინგი ჩატარდა „საგადასახადო ვალდებულებებსა და ბუღალტერიაზე“,

რომელიც განკუთვნილი იყო ზრდასრულთა/სათემო განათლების ცენტრების დირექტორებისათვის, ბუღალტრებისა და სოციალური საწარმოს ხელმძღვანელებისათვის.

ტრენინგი ზრდასრულთა განათლების ქსელის წევრი ორგანიზაციებისა და მათი თანამშრომლების გაძლიერებას ისახავდა მიზნად. ტრენინგი სოფიო ასკუარამა შეეხო ისეთ თემებს, როგორცაა: სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის მეთოდები, ჩამონერა, გადაფასება, ინვენტარიზაცია, დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული საშემოსავლო, ქონებისა და დამატებული ღირ-

რებულების გადასახადები, ფინანსური ანგარიშგება, მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი წესები.

პრეზენტაციის თეორიული ნაწილი მოიცავდა ინფორმაციას საგადასახადო კოდექსიდან, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებებიდან და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებიდან, ხოლო



პრაქტიკული ნაწილი წარმოდგენილი იყო მაგალითებისა და შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ დამტკიცებული სიტუაციური სახელმძღვანელოების სახით. ტრენინგის მონაწილეთა ძირითადი ინტერესი საგადასახადო ვალდებულებების განათავისუფლების საკითხებსა და შეღავათებს შეეხებოდა, ასევე - სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ან/და ძირითად საშუალებათა გადაცემისა და



აღრიცხვის მეთოდებს. ტრენინგზე ყურადღება გამახვილდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალ წესებზეც, კერძოდ, დოკუმენტურად დაუდასტურებელ ხარჯებზე და ამ პრობლემის აღმოფხვრის გზებზე.



## კედლის მხატვრობის აქტივობები პროექტში „სალონოება თემის განვითარებისთვის“



2018 წლის 14-16 აპრილს კოდაში, ხოლო 21-23 აპრილს ჯვარში პროექტის „ხელოვნება თემის განვითარებისთვის“ ფარგლებში კედლის მოხატვის აქტივობები ჩატარდა. ღონისძიების ფარგლებში პროექტის მონაწილეებმა წინას-



წარ შემუშავებული ესკიზები მხატვრებთან ერთად დაიტანეს კედელზე.

პროექტის პირველ და მეორე ეტაპზე მონაწილეები აქტიურად იყვნენ ჩართული ვორკშოპის აქტივობებში. მათ შექმნეს სკეტჩები სხვადასხვა აქტუალურ თემაზე, კერძოდ, იყო: კონფლიქტი, ინტეგრაცია და თანაარსებობა, მშვიდობა და სტერეოტიპები. ამ სკეტჩებში ისინი თავიანთ დამოკიდებულებას გამოხატავენ თემაში არსებული პრობლემების მიმართ.

პროექტის მესამე ეტაპზე კი კოდისა და ჯვარის დასახლებებში კედლის მხატვრობის აქტივობები ჩატარდა. სამდღიანი სესიის ფარგლებში მონაწილეებმა კედელზე გადაიტანეს, დახატეს, პროექტის მეორე ეტაპზე შერჩეული საუკეთესო სკეტჩები. კედლის მოხატვის სამუშაოები ახალგაზრდებმა მხატვრების მეთვალყურე-



ობითა და დახმარებით შეასრულეს. პროექტის ამ ეტაპზე მონაწილეთა ჩართულობის ხარისხი განსაკუთრებით მაღალი იყო. ორივე დასახლებაში, კოდაშიც და ჯვარშიც, თითქმის მთელი თემი მონაწილეობდა ამ აქტივობაში - აქ იყვნენ ბავშვე-



ბი, ხანდაზმულები, რომლებიც დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს მოხატვის პროცესს და მოწონებას არ მალავდნენ. პროექტის მიზანიც სწორედ ეს იყო - ხელოვნება ხომ საუკეთესო გზაა საზოგადოებაში არსებული პრობლემების გამოხატვისა და განზოგადებისთვის. ქუჩის მხატვრობის შესახებ ტრენინგიც ემსახურებოდა იმას, რომ მონაწილეებს საკუთარი ემოციების გადმოცემა ფერებისა



და ფორმების მეშვეობით შეძლებოდათ. ადგილობრივებისა და იგპ-ების აქტივობებში ერთობლივმა ჩართულობამ მათ ინტეგრაციასაც შეუწყო ხელი. ისინი საერთო პრობლემის ირგვლივ გაერთიანდნენ. შესრულებული სკეტჩები კი წარმატებული გუნდური მუშაობის შედეგი და ნიმუშია. პროექტის პოზიტიური მიღწევაა ისიც, რომ შესანიშნავი საფუძველი შეიქმნა მომავალი თანამშრომლობისთვის.

პროექტს „ხელოვნება თემის განვითარებისთვის“ ორგანიზაცია „შავი ზღვის ნდობის ფონდი რეგიონული თანამშრომლობისთვის“ დაფინანსებით უკრაინული არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდული ალტერნატივა“ საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელთან ერთად ახორციელებს.



# „სალონება თემის განვითარებისთვის“ - ვიზიტი ოდესაში



2018 წლის 20-21 აპრილს უკრაინის ქ. ოდესაში ქართველი და უკრაინელი ახალგაზრდების მონაწილეობით პროექტის „ხელოვნება თემის განვითარებისთვის“ ფარგლებში ბოლო აქტივობა გაიმართა.

საქართველოდან მას ჯვარისა და კოდის 7 ადგილობრივი და ი.გ.პ. ახალგაზრდა და GAEN-ის წარმომადგენელი ესწრებოდნენ. ისინი პროექტის სანყის ეტაპზე განხორციელებულ ღონისძიებებში აქტიურად იყვნენ ჩართული და ამ ტრენინგისთვის გასაუბრების საფუძველზე შეირჩნენ.

ოდესაში ჩატარებულ შემაჯამებელ შეხვედრაზე ქართულმა მხარემ პროექტის მიმდინარეობა და მის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები წარმოადგინა. შემდეგ კი თავად გაეცნენ პროექტის უკრაინაში განხორციელების მსვლელობას და ოდესაში

ვის, საერთაშორისო პროექტები და თანამშრომლობა ახალგაზრდებისთვის, განხორციელებული ახალგაზრდული პროექტების გაცნობა. ქართველი მონაწილეები აქტიურად იყვნენ ჩართული ტრენინგის აქტივობებში და უკრაინელ ახალგაზრდებს თავიანთ გამოცდილებასა და მოსაზრებებს უზიარებდნენ. ვიზიტის ფარგლებში ტრენინგის მონაწილეებმა სამომავლო თანამშრომლობის საკითხიც განიხილეს და ასევე დაინტერესდნენ მსგავსი პრობლემების წინაშე მდგარი სხვა ქვეყნების ახალგაზრდების პერსპექტივითაც.

პროექტი საქართველოში სამეგრელოსა და ქვემო ქართლში განხორციელდა, ხოლო უკრაინაში - ოდესასა და ჩერნოვიცში. მისი მიზანი ხელოვნების გზით ადგილობრივი და ი.გ.პ. ახალგაზრდების გაძლიერება და ინტეგრაცია იყო.



შესრულებული კედლის მხატვრობა ნახეს.

ოდესაში ჩატარებული ტრენინგი მოიცავდა საკითხებს: ქართველი და უკრაინელი ი.გ.პ. ახალგაზრდების პრობლემები, პროექტები და შესაძლებლობები ქართველი და უკრაინელი ახალგაზრდებისთვის.

პროექტი „შავი ზღვის ნდობის ფონდი რეგიონული თანამშრომლობისთვის“ ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა უკრაინულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „ახალგაზრდული ალტერნატივა“ და საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელმა.



# ზრდასრულთა განათლების მესამე საერთაშორისო კონფერენცია მოლდოვაში



2018 წლის 27-28 აპრილს მოლდოვაში, ქ. კიშინოვში „ზრდასრულთა განათლების მესამე საერთაშორისო კონფერენცია“ გაიმართა, რომელიც DVV International - მოლდოვას ოფისისა და მოლდოვას სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით განხორციელდა. კონფერენციის ფარგლებში განიხილეს ზრდასრულთა განათლების არსებული პოლიტიკა, მიმდინარე პრობლემები, მისი მნიშვნელობა და პერსპექტივები. კონფერენციის მონაწილეებმა ზრდასრულთა განათლების მიმართულებით ჩატარებული კვლევების შედეგები და განხორციელებული პროექტები წარმოადგინეს.



კონფერენციაზე და მის ფარგლებში შექმნილ თემატურ ჯგუფში - „ზრდასრულთა განათლების ცენტრების როლი და ფუნქციები“ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი თამარ ჭაბუკიანი და DVV International საქართველოს ოფისის წარმომადგენელი დავით ჯიძია მონაწილეობდნენ. თემატურ ჯგუფში მუშაობისას ქართულმა მხარემ საქართველოს ზრდასრულთა და სათემო განათლების ცენტრების საქმიანობისა და მნიშვნელობის შესახებ ისაუბრა, განიხილეს არსებული გამოწვევები და სირთულეები. თემატური ჯგუფის მოდერატორები კატრინ დენისი და პროფესორი ჰირიპარტ ჰინცანი იყვნენ.



# Dvv-international-ის სტუმრების ვიზიტი GAEN-ში



სტუმრებმაც დიდი ინტერესი გამოხატეს, კითხვები დასვეს ქსელის კონკრეტულ აქტივობებთან დაკავშირებით, იმ გამოწვევებისა და სირთულეების შესახებ, რასაც ქსელი თავის საქმიანობაში აწყდება. ისინი ასევე დაინტერესდნენ სამთავრობო სექტორის ჩართულობით და მხარდაჭერის ხარისხით GAEN-ის პროექტებში.

ვიზიტის ფარგლებში DVV International-ის სხვადასხვა ქვეყნების ოფისების წარმომადგენლები ქსელის წევრ ცენტრებსაც ეწვივნენ, კერძოდ, მოინახულეს ლელიანისა და კოდის ზრდასრულთა სათემო განათლების

8 მაისს საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელს (GAEN) გერმანიის სახალხო უნივერსიტეტთა ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის (DVV International) ოფისების წარმომადგენლები ესტუმრნენ იორდანიიდან, ბელორუსიიდან, სომხეთიდან, უკრაინიდან, მოლდოვიდან.



რისო თანამშრომლობის ინსტიტუტის (DVV International) ოფისების წარმომადგენლები ესტუმრნენ იორდანიიდან, ბელორუსიიდან, სომხეთიდან, უკრაინიდან, მოლდოვიდან.

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორმა **თამარ ჭაბუკიანი** „ზრდასრულთა განათლების ქსელის“ საქმიანობა გააცნო მათ და ამომწურავი ინფორმაცია მიიწვია GAEN-ის დაარსების ისტორიისა თუ მიმდინარე და განხორციელებული პროექტების შესახებ.

ამ ყველაფრის ირგვლივ თავის მხრივ

ცენტრები და მათ საქმიანობას ადგილებზე გაეცნენ.



# ქამის ზრდასრულთა განათლების ცენტრის დირექტორის ვორქშოპი

22-23 მაისს საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის ოფისში გაიმართა ქამის ზრდასრულთა განათლების ცენტრის დირექტორის ვინფრიდ ლუდვიგ ელვანგერის ვორქშოპი, რომელიც ზრდასრულთა/სათემო განათლების ცენტრების დირექტორებისათვის იყო განკუთვნილი. ლონისძიებაზე ქამის ზრდასრულთა განათლების ცენტრის დირექტორმა საქართველოს ზრდასრულთა განათლების ცენტრების დირექტორებს ქამის ცენტრის გამოცდილება და მიმდინარე და განხორციელებული კურსები გააცნო; ესაუბრა ცენტრის სტრუქტურასა და მართვის, არაფორმალური განათლების აღიარებისა და თანხების მოზიდვის საკითხებზე. ვიზიტის ფარგლებში განხილული იქნა სამომავლო თანამშრომლობის საკითხებიც.

აღნიშნული აქტივობები პროექტის „არაფორმალური ზრდასრულთა განათლების განვითარებისა და გაძლიერების მხარდაჭერა საქართველოში“, ფარგლებში გახორციელდა, რომელსაც DVV International საქართველოს ოფისი აფინანსებს.



## საზაფხულო აკადემია კიავში

2018 წლის 18-21 ივნისს საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი **თამარ ჭაბუკიანი** DVV International უკრაინის ოფისის მიერ ორგანიზებულ საზაფხულო აკადემიაში მონაწილეობდა.

DVV International მუშაობს ზრდასრულთა განათლების ცენტრების სისტემური გაძლიერების საერთაშორისო გაიდლაინის შემუშავებაზე. აღნიშნული ინსტრუმენტი ზრდასრულთა განათლების ცენტრების გაძლიერებასა და საკვანძო კომპეტენციების შემუშავებას შეუწყობს ხელს. იგი უნდა მოიცავდეს დამხმარე სახელმძღვანელოსაც, რომელიც DVV International-ისა და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ ინსტრუმენტებსა და მიღწევებს გააერთიანებს.

საზაფხულო აკადემია სწორედ ამ დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნასა და არსებული გამოცდილების გაზიარებას ემსახურებოდა. აკა-

დემიაში ევროპის, ცენტრალური და შუა აზიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ქართულმა მხარემ მათ საქართველოში არსებული ზრდასრულთა და სათემო განათლების ცენტრების შექმნისა და ფუნქციონირების მოდელები გააცნო და ის მეთოდები და მიღწევები გაუზიარა, რომელთა საშუალებითაც ცენტრებისა და მისი თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერებაზე ზრუნავს.

ვიზიტის ფარგლებში მონაწილეებმა ის ძირითადი კომპეტენციები განიხილეს, რომლებიც ზრდასრულთა განათლების ცენტრების ეფექტური ფუნქციონირებისათვის არის საჭირო და ინფორმაცია მიიღეს განსხვავებულ კონტექსტში მათი ნაირსახეობის შესახებაც. საზაფხულო აკადემიის მიზანი მონაწილეთა გაძლიერება და მათ შორის თანამშრომლური ურთიერთობების ჩამოყალიბება იყო.

## ყურნალისტური ნამუშევრების კონკურსი ზრდასრულთა განათლების თემაზე

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი აცხადებს კონკურსს ზრდასრულთა განათლების თემაზე შექმნილი საუკეთესო ყურნალისტური ნამუშევრის გამოსავლენად. კონკურსის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ზრდასრულთა (ფორმალური და არაფორმალური) განათლების შესახებ.

კონკურსში განსახილველად მიიღება 2018 წლის იანვრიდან 2018 წლის 1 ნოემბრის ჩათვლით ეთერში გასული ტელე-რადიო სიუჟეტი ან რეპორტაჟი; ბეჭდვით, ელექტრონულ მედიაში გამოქვეყნებული პუბლიკაცია (სტატია, ესსე) ან ფოტო-რეპორტაჟი თემაზე: „საქართველოს განათლების რეალობა და პრობლემები“.

კონკურსში გამარჯვებულისთვის საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელმა დაანესა ჯილდო - 1000 ლარი.

საკონკურსო მასალების მიღების ბოლო ვადაა 2018 წლის 2 ნოემბერი.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად თანდართული შევსებული სააპლიკაციო ფორმა და საკონკურსო მასალები მოგვანოდეთ ელ-ფოსტით შემდეგ მისამართზე: [info@gaen.org.ge](mailto:info@gaen.org.ge)

საკონტაქტო პირი: თინათინ ხარშილაძე

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი

ტელ: (+995) 32 2 22 25 84

ვებ-გვერდი: [www.gaen.org.ge](http://www.gaen.org.ge)

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი 2014 წელს შეიქმნა. მისი მიზანია საქართველოში ზრდასრულთა განათლების პრინციპების პოპულარიზაცია, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ზრდასრულთა განათლების მნიშვნელობის შესახებ და ისეთი სისტემის შექმნის ხელშეწყობა, რომელიც პასუხობს ქვეყანაში არსებულ გამოწვევებს და უზრუნველყოფს განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი ზრდასრული ადამიანისთვის.

კონკურსი ტარდება გერმანიის სახალხო უნივერსიტეტთა ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის (DVV International) საქართველოს ფინანსური მხარდაჭერით.

საკონტაქტო ინფორმაცია:

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი

მისამართი: თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას N8, II სართული

ტელეფონი: 2222584

ელ.ფოსტა: [info@gaen.org.ge](mailto:info@gaen.org.ge)

ვებ-გვერდი: [www.gaen.org.ge](http://www.gaen.org.ge)

რედაქტორი

რიტა ბაინდურაშვილი



ელექტრონული ბიულეტენი მომზადებულია სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის DVV International ფინანსური მხარდაჭერით.

